INTERNATIONAL MONETARY FUND
EXTERNAL RELATIONS DEPARTMENT

თარგმანი

პრეს რელიზი № 11/158
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
3 მაისი, 2011

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20431

სსფ-ს მისიის დონეზე მიღწეულია შეთანხმება საქართველოს მხარდამჭერი ეკონომიკური პროგრამის (Stand-By Arrangement) მეცხრე მიმოხილვის წარმატებით დასრულების შესახებ

სსფ-ს მხარდაჭერით მიმდინარე ეკონომიკური პროგრამის (Stand-By) მეცხრე და საბოლოო მიმოხილვის მიზნით, თბილისს, ამა წლის 13-28 აპრილს სსფ-ს მისია სტუმრობდა ბატონი ედვარდ გარდნერის ხელმძღვანელობით. მიმიდინარე პროგრამა საქართველოში 2008 წლის 15 სექტემბერს დაიწყო (იხილეთ პრესს რელიზი Press Release No. 08/208) და 477 მილიონი ესდეერ-ის (დაახლოებით 774 მილიონი აშშ დოლარის) გამოყოფას ითვალისწინებდა. 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით ამ პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი თანხა 747.1 მილიონ ესდეერ-ამდე (დაახლოებით 1,213 მილიონი დოლარამდე) გაიზარდა და პროგრამა 2011 წლის 14 ივნისამდე გახანგრძლივდა. (იხილეთ პრესს რელიზი Press Release No. 09/277).

მისიის დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება სსფ-ს მხარდაჭერით მიმდინარე ეკონომიკური პროგრამის (Stand-By) მეცხრე და საბოლოო მიმოხილვის დასრულების შესახებ. ეს შეთანხმება საჭიროებს დამტკიცებას სსფ-ს ხელმძღვანელობის და მმართველი საბჭოს მიერ. საქართველოს პროგრამის განხილვა სავარაუდოდ ივნისის დასაწყისში შედგება. ამ მიმოხილვის დასრულებისას, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება პროგრამით გათვალისიწნებული ბოლო ტრანში დაახლოებით 114 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

მისიის დასასრულს, ბატონმა ედვარდ გარდნერმა შემდეგი განაცხადი გააკეთა თბილისში:

"მისაიმ დაადასტურა 2011 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზი 5½ პროცენტის დონეზე. მისია მიიჩნევს, რომ ენერგომატარებლების და საკვების ფასების სტაბილიზაციის პარალელურად წლის მეორე ნახევარში ინფლაცია კლებას დაიწყებს და მარტის 14 პროცენტიანი მაჩვენებლიდან 8½ პროცენტამდე დაიწევს 2011 წლის ბოლოსთვის. სამომავლოდ ინფლაცია კვლავაც შემცირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის საშუალოვადიანი

ორიენტირის შესაბამისად. მისია აღნიშნავს, რომ საბაზო ინფლაცია (ინფლაცია დათვლილი საწვავის და საკვების ფასების გარეშე) კვლავაც დაბალია, 2 პროცენტის დონეზე. მისია მიიჩნევს, რომ ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა შესაფერისია და შეესაბამება ინფლაციის კლების მიზანს.

ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი მოსალოდნელზე უკეთესია. მნიშვნელოვნად გაზრილი ექსპორტი, მათ შორის ტურიზმი და ძლიერი კერძო ფინანსური ნაკადები სრულიად გადაფარავენ და კიდეც აღემატებიან საწვავის იმპორტის მაღალი ფასის ნეგატიურ გავლენას ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე. შედეგად, მისია იმედოვნებს, რომ ეროვნული ბანკის წმინდა სარეზერვო პოზიცია 2011 წელს იმაზე მეტად გაუმჯობესდება, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი.

2011 წლის ბიუჯეტის დეფიციტი (სსფ-ს პროგრამის მეთოდით დათვლილი) მშპ-ს 3.6 პროცენტამდე დაიკლებს, მაშინ როცა 2010 წელს ეს მაჩვენებელი 6.6 პროცენტი იყო. ეს გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა ხარჯების შემცირების და შემოსავლების ზრდის წარმატებული მცდელობების ფონზე.

2011 წლის აპრილში 500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრობონდების მეტად წარმატებული განთავსებით და ადრინდელების გამოსყიდვით განმტკიცდა ინვესტორთა რწმენა. ამ ოპერაციით მნიშვნელოვნად შერბილდება ვალის დაფარვის ტვირთი 2013 წელს.